

ფლეს ნომერშია	
306 რა ქონებას უღობს	2 გვ.
თამბაქო მავნებელია	2 გვ.
17 ივნისიდან სივრულ მარშებლოებაზე ბალანსივარი	2 გვ.
სამოყვარულ უიღობების კონკურსი ხარაბაულში	3 გვ.
ბანსხალეპები	4 გვ.

## სათავგადასავლო ტურ-თამაშების ფინალისტი გამოვლინდა



გვ. 3

### ღარიბლან თუ არა ბაღში დაზიანებული საჩუქრები

პირველ ივნისს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ქეთევან ზუმბაძემ საკრებულოს წევრებს აჩვენა სასაჩუქრე ყუთი, რომელიც, ქეთევან ზუმბაძის თქმით, მისმა ძმისშვილმა პარასკევს საბავშვო ბაღში მიიღო.

მისივე თქმით, „ყუთში საჩუქრები არის დაზიანებული და ნახშირ მღვთმარობაში. ყუთში იდო 2014 წლის 29 თებერვლით დათარიღებული წერილი, რომლითაც ბავშვებს ულოცავდნენ შობას. როცა საბავშვო ბაღში შედის საჩუქრები, ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია, ამას გაუნოს მონიტორინგი“, – ამბობს ქეთევან ზუმბაძე.

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ხარაგაულში ჩამოიტანა 200 საჩუქარი საბავშვო ბაღის აღსაზრდელეებისათვის.

ქეთევან ზუმბაძემ სასაჩუქრე ყუთი საკრებულოს სხდომათა დარბაზში დატოვა.

საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მარინე ვეფხვაძე დაუკავშირდა ეთერ კიკნაძის სახელობის ხარაგაულის სკოლაში დღევანდელ დასწავლულ ბავშვებს და გაერთიანების დირექტორს ირმა სეხისკვერაცეს, რომელმაც საკრებულოს სხდომაში დასრულების შემდეგ საკრებულოში რამდენიმე მშობლისა და დეპუტატების თანდასწრებით გახსნა საჩუქრები და აღნიშნა, რომ არც ერთ ყუთში დაზიანებული საჩუქარი არ იყო.

„ყველა მშობელი აღფრთოვანებული იყო საჩუქრით და არც ერთ მათგანს უკმაყოფილება არ გამოუთქვამს საჩუქრების მიმართ“, – ამბობს ირმა სეხისკვერაცე.

საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეკრებილმა მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათი ბავშვები ძალიან გახარებულნი იყვნენ აღნიშნული საჩუქრებით და მათ არ შეუნიშნა სასაჩუქრე ყუთში დაზიანებული საჩუქარი.

საბავშვო ბაღის წარმომადგენლების, მშობლებისა და დეპუტატების შეხვედრას ქეთევან ზუმბაძე არ დასწრებია.

## ამბების აკილო

### ფილოსოფიის სამსახური „ჩემი ხარაბაულის“ რედაქციამ

26 მარტიდან გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ რედაქციაში ფილოსოფიის სამსახური საბუღალტრო დოკუმენტაციას ამოწმებს.

შპს „ჩემი ხარაგაულის“ 2011 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში ხელფასის სახით გამოქვითული თანხებისა და ვაკეული ხელფასიდან დასაკავებელი გადასახადის სისწორის დასადგენად შემოწმება უკვე დასრულდა.

ამჟამად მიმდინარეობს 2013 წლის საბუღალტრო დოკუმენტაციის სრული შემოწმება.

ვიმედოვნებთ, რომ შემოსავლების სამსახურისგან შემოწმება დამოუკიდებელი გაზეთის სერიოზულ ფინანსურ რყევას ვერ გამოიწვევს.

### კირიფასო

#### ხელმოწერა!

გაზეთი „ჩემი ხარაგაული“ და ვებგვერდი chemikharagauli.com უმეტესად საკუთარი შემოსავლებით, – გაზეთის გაყიდვებითა და მცირე განცხადებებით, – არსებობს; დროდადრო – დონორებისგან კონკურსებით მოპოვებული დაფინანსებით. ჩვენი დონორების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია ვებგვერდზე chemikharagauli.com

გაცნობებთ, რომ 2013 წლის აგვისტოდან დღემდე გაზეთი „ჩემი ხარაგაული“ სასტამბო ხარჯების დაფარვა მძღლო საკუთარი შემოსავლებით (გაზეთის გაყიდვები და მცირე განცხადებები).

2014 წლის სექტემბრიდან დღემდე კი ვარსებობთ მთლიანად საკუთარი შემოსავლებით, რაც მნიშვნელოვნად შემცირდა მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში.

შემოსავლების შემცირებამ გვაძლავს, რომ გაზეთის ფორმატი, დროებით, რვა გვერდიდან ოთხ გვერდამდე შევუმცირებინა.

ძვირფასო ხელმომწერლებო, გთხოვთ, ვისაც გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ დავალიანება გაქვთ, უახლოეს მომავალში დაფაროთ, რათა ძველებურად შევძლოთ ფუნქციონირების გაგრძელება.

### ხარაბაულის თეატრი იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე

ქუთაისში 21 მაისიდან მიმდინარეობს ფესტივალი „თეატრალური იმერეთი“. ფესტივალში ქუთაისიდან ჩართულია მესხიშვილის, ახალგაზრდული და ნიღბების თეატრები; მონაწილეობენ ვანის, ჭიათურის, ზესტაფონის, ტყებულის, თერჯოლის, საჩხერის, წყალტუბოს, ბაღდათის, სამტრედიისა და ხონის თეატრები.

5 ივნისს მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ფესტივალს ხარაგაულის სახალხო თეატრი დასურავს. თეატრალური დასი სპექტაკლით, „დარისპანის გასაჭირი“, წარდგება მაყურებლის წინაშე. რეჟისორი **ირინე ჩხეიძე** ამბობს, რომ დასი განსაკუთრებულად ემზადება ქუთაისელ მაყურებელთან შესახვედრად. „ხარაგაულის სახალხო თეატრი იმერეთის თეატრალური ფესტივალის 2012 წლის გრან-პრის მფლობელია. ჩვენ უნდა გამოვიდეთ ისე, როგორც ეკადრება საუკუნოვან თეატრს, თუმცა, პროფესიულ დასებთან ერთად კონკურსში მონაწილეობა არ არის იოლი.“

წარმატებები ვუსურვოთ ხარაგაულის სახალხო თეატრს.

### ჯანმრთელობა რომ ვიყოთ

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ხარაგაულის საზოგადოებრივი

ჯანდაცვის ცენტრმა (დირექტორი **შაბაი სიჯაბაძე**) აქტიური აღნიშნა. ექიმმა პროფილაქტიკოსმა **თათია ბლუაშვილმა** და პარაზიტოლოგმა **ნინო ჯიფშიამ** ხარაგაულის №1 საბავშვო ბაღის დამამთავრებელი ჯგუფების აღსაზრდელეებს დაურიგეს საინფორმაციო ბუკლეტები „ჯანმრთელები რომ ვიყოთ“.

ბუკლეტებში ბავშვებისთვის გასაგებად, მარტივად, ილუსტრაციებით არის ასახული პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვებისა და ფიზიკური აქტივობების მნიშვნელობა.

ბუკლეტები „ჯანმრთელები რომ ვიყოთ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოქმედი თორმეტი საბავშვო ბაღის უფროსი ასაკის ასზე მეტმა აღსაზრდელმა მიიღო.

### ბაჯალეთის გზის მშენებლობისთვის ხელშეწყობა მკაფლდება

ხარაგაული-ბაჯალეთის საავტომობილო გზის მშენებლობის დასაწყებად ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება მზადდება.

სამი მშენებელი ორგანიზაცია ჩაერთო ტენდერში, რომელიც 642 357 ათას ლარზე გამოაცხადდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. სატენდერო კომისიამ (თავმჯდომარე დავით დედარაიანი) ტენდერში მონაწილე ორ მშენებელ ორგანიზაციას დისკვალიფიკაცია მიანიჭა და გამარჯვებულად შპს „ნიუ-ვეივი“ ცნო. შპს „ნიუ-ვეივი“ ხარაგაული-ბაჯალეთის გზის მშენებლობის სამუშაოების შესრულებას 600 ათას ლარად აპირებს.

### ზვარეში ბანაკი უნდა აღდგას

27 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ზვარეს

ახალგაზრდული ბანაკის სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შპს „საბა“ 28 ივლისის ჩათვლით უნდა მოამზადოს. შპს „საბა“ აღნიშნულ დოკუმენტაციას 5 000 ლარად შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ ზვარეში ახალგაზრდული ბანაკის რეაბილიტაცია იწყება. უნდა აღდგეს არსებული საცხოვრებელი, სასადილო და აღმინისტრაციული შენობები. დაგეგმილია სანიტარულ-ჰიგიენური კვანძის, ღობის, ელექტრო სისტემის, გარე განათებისა და წყლის სისტემის აღდგენა, ეზოსა და სათამაშო მოედნის მოწყობა.

ზვარეს ახალგაზრდული ბანაკის რეაბილიტაციის სავარაუდო ღირებულებაა 300 000 ლარი.

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

უკრაინის პერსონალის მართვის საერთაშორისო აკადემია - უნივერსიტეტი (MAYP) სკოლადამთავრებულთათვის აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა;
2. ფარმაციისა და მედიცინის მენეჯმენტი;
3. ფინანსები და კრედიტები;
4. ბიზნესის ეკონომიკა;
5. ტურიზმის მართვა.

უნივერსიტეტის ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს ერთწლიანი სერთიფიცირებული კურსები შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფარმაციის მენეჯერი;
2. საექთნო საქმე;
3. მასაჟი;
4. ფინანსური მენეჯერი;
5. ოფისმენეჯერი.

საბუთები მიიღება პირველი ივლისიდან 10-დან 15 საათამდე. მის. ზესტაფონი, ზაპოროჟიეს ქ. №10 (წყალსადენის დასახლება). ტელ: 593 21 19 64; 551 56 72 56.

# ანალოგურიდან ციფრულ მანუყებლობამდე

ჩვენ ყველა მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლას ველოდებით, რაც 2015 წლის 17 ივნისს უნდა დასრულდეს. ეს თითოეულ ოჯახში მიწოდებული სატელევიზიო სიგნალის გაუმჯობესებულ ხარისხს უზრუნველყოფს. პროცესის დასრულებამდე ერთ თვეზე ნაკლები დროა დარჩენილი, თუმცა საქართველოს მოსახლეობას მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ საკმარისი ინფორმაცია მაინც არ აქვს. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მკითხველებისგან კითხვები მივიღეთ და გადავწყვიტეთ, ყველაზე ხშირად დასმულ რამდენიმე მათგანს ვუპასუხოთ:

**როდის მოხდება მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლა და აიხსნა რა შედეგებია ჩვენი?**

-ციფრული მანუყებლობის სააგენტოს ცნობით, საქართველოში მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო მანუყებლობაზე გადასვლა 2015 წლის 17 ივნისს დასრულდება. ეს თარიღი არის ბოლო ვადა, როდესაც ქვეყანაში ანალოგური მიწისზედა სატელევიზიო ქსელი უნდა გაითიშოს. ციფრული სიგნალის მიღება რამდენიმე გზითაა შესაძლებელი: ციფრული მიწისზედა ანტენით, ციფრული კაბელით, ინტერნეტით ან სატელეიტით. თუ სატელევიზიო სიგნალს სატელეიტის ან ინტერნეტის საშუალებით იღებთ, გაყოფილება თქვენზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან თქვენ უკვე ციფრულ სატელევიზიო სიგნალს იღებთ, ხოლო თუ ანალოგურ მიწისზედა სიგნალს იღებთ, თქვენი გადასაწყვეტია, რა საშუალებას აირჩევთ ციფრული სიგნალის მისაღებად.

**რა განსხვავებაა ანალოგურ და ციფრულ სიგნალს შორის?**

ანალოგური ტელევიზიისგან განსხვავებით, სადაც აუდიო და ვიდეო სიგნალის გადასაცემად მაგნიტური ტალღები გამოიყენება, ციფრული სიგნალი ბაიტების საშუალებით გადაიცემა. შედეგად ვიღებთ ციფრულ ინფორმაციას, რომელსაც კრისტალურად სუფთა გამოსახულება და უმაღლესი ხარისხის ხმა აქვს.

**როგორც ვიცი, ციფრული სიგნალი 17 ივნისამდე უამიძლია მივიღო. როგორ გავაპრობო ეს?**

-ღიახ, შეგიძლიათ. ზოგადად, ციფრული სატელევიზიო სიგნალი რამდენიმე საშუალებით და მათ შორის ანტენით, სატელეიტის, კაბელის ან ინტერნეტის მეშვეობით გადაიცემა. სატელეიტო ციფრული სატელევიზიო სიგნალით მთელ ქვეყანას ფარავს. ასე რომ, ციფრული სიგნალით უკვე შეგიძლიათ ისიამოვნოთ სატელეიტით და სხვა გემოთ ჩამოთვლილი საშუალებებით. ამისთვის სულაც არაა საჭირო, რომ 17 ივნისს დაელოდოთ.

**ბაციფრულების პროცესი როგორ უამიძლია?**

-გაციფრულების პროცესი ძირითადად ეხება ხალხს, რომელიც ანალოგური მიწისზედა სიგნალის მისაღებად ტელევიზორის ანტენას იყენებს. სწორედ ამ მიწისზედა ქსელის გაციფრულება ხდება. მათ მოუწევთ, არჩევანი გააკეთონ, თუ რა გზით მიიღებენ ციფრულ სიგნალს. ხოლო თქვენთვის არაფერი შეიცვლება, თუ უკვე იღებთ ციფრულ სიგნალს, მაგალითად, სატელეიტის მეშვეობით.

## 31 მაისი თამბაქოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა

„შევაჩეროთ თამბაქოს ნაწარმით უპაწილო ვაჭრობა“, - ამ სლოგანით აღინიშნებოდა წელს თამბაქოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. სლოგანი მოუწოდებს ქვეყნებს, რომ გაერთიანდნენ თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლაში. თამბაქო ხომ მანე პროდუქტია, რომელიც თანდათანობით კლავს. თუმცა ეს ცოტას ესმის, მოწვევის მიზეზად უამრავ რამეს ასახელებენ და მათ შორის სტრესთან გამკლავების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევენ. დამეთანხმებით, სიგარეტი არაა ტრანკვილიზატორი, თუმცა მწვევლთა უმეტესობა მას სწორედ მსგავს თვისებებს მიანიჭებს. ისინი ამტკიცებენ, რომ სიგარეტი სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალებაა და „ამშვიდებს, აწყნარებს ნერვებს“. მეცნიერული კვლევების მიხედვით კი, სიგარეტი არათუ ხსნის სტრესს, არამედ თვითონვე ორგანიზმზე სტრესულად მოქმედი ერთ-

ერთი ფაქტორი. **პრემი მერი**, სიგარეტში შემავალი ნიკოტინის ზემოქმედებით ვინაობა სისხლძარღვები, მატულობს სისხლის წნევა, ხშირდება გულისცემა, მცირდება ტვინისა და მთლიანად ორგანიზმისთვის უანგბადის მიწოდება - ამ რეჟიმში მუშაობა ორგანიზმისთვის ძლიერ სტრესულია. მაგრამ, ამ დროს, თამბაქოს აქტიურად მომხმარებლებთან შეგრძნებები საპირისპიროა, რადგანაც ნიკოტინი ტვინის გარკვეულ უბნებზე მოქმედებით, იწვევს სიამოვნების ჰორმონების გამოყოფას და სისიამოვნო შეგრძნებებს, რომლის განმეორების სურვილი მწვევლს მოწვევად რამდენიმე წუთში უჩნდება. **მორის მერი**, მონეულ ღერებს შორის შუალედში, სისხლში ნიკოტინის დონის შემცირების შედეგად, მატულობს დაძაბულობის და გაღიზიანებადობის შეგრძნება, რაც თავის მხრივ ორგანიზმზე ასევე სტრესულად მოქმედი ფაქტორია. ეს შეგრძნება ნიკოტინის მორიგი ულუფის მიღებისთანავე ქრება. ამგვარად, მწვევლებს ნიკოტინი მუდმივად სჭირდებათ, რათა თავი ისევ კომფორტულად/სწორმართულად იგრძნონ. ამგვარად, მწვევლის მიერ სწორედ ეს შეგრძნება აღიქმება, როგორც სიგარეტის დამამშვიდებელი ზემოქმედება. ამიტომ ღირს თამბაქოზე უარის თქმა. ნაპოლეონ ბონაპარტე ამბობდა: „ყველაზე ძლიერი მამინ არის ადამიანი, როცა საკუთარ თავს ერევა. სხვისი მორევა ვაყილებით მარტივია, ვიდრე საკუთარი თავის და მანე ჩვევის.“

**თათია გლუაშვილი**  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ექიმი-პროფილაქტიკოსი



## ვინ რა ქონებას ფლობს

სარაგაულის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს თანამდებობის პირებმა ქონებრივი დეკლარაციები 2014 წლის სექტემბერში შეასრულეს.



• ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მანანა ბარბაქაძე** ფლობს ოთხ ბინას თბილისში - 89 კვმ ფართობის ბინას ვაჟა-ფშაველაზე, 40 კვმ ფართობის ბინას მირცხულავას ქუჩაზე, 90 კვმ ფართობის ბინას თამარაშვილის ქუჩაზე და 100 კვმ ფართობის ბინას თამარაშვილის ქუჩაზე.

ვაჟა-ფშაველას №18-ში მდებარეობს მანანა ბარბაქაძის საკუთრებაში არსებული 19 კვმ ფართობის ავტოფარეხი. მანანა ბარბაქაძის საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლი ბორიბოში, რომლის ფართობია 200 კვმ, ასევე ბორიბოში 1 500 კვმ მიწის ნაკვეთი.


საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ფლობს 2002 წელს გამოშვებულ ავტომანქანას toyota rav 4. მანანა ბარბაქაძის დეკლარაციაში ასახულია მის საკუთრებაში არსებული ქონება, რომლის ღირებულებაც აღემატება ათი ათას ლარს, - სასაიდლო გარნიტური რენესანსი და როიალი ofen baxen ika. დეკლარაციის შევსების მომენტისთვის მანანა ბარბაქაძეს „ლიბერთი ბანკის“ ანაბარზე ჰქონდა 8 ათასი ლარი, ხოლო სახელფასო ანგარიშზე - 200 ლარი, ნაღდი ფული - 9 500 ლარი. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მანანა ბარბაქაძემ 2012 წელს მიიღო სესხი 15 ათასი ლარის ოდენობით ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. სესხის გამყვანი ორგანიზაცია ან კერძო პირი დეკლარაციაში მითითებული არ არის.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია, რომ მანანა ბარბაქაძე არის შპს AVIUGROUP-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და 25%-იანი წილის მფლობელი. მანანა ბარბაქაძემ ეს ინფორმაცია დეკლარაციაში არ მიუთითა. შპს AVIUGROUP-ის იურიდიული მისამართია ვაჟა-ფშაველას 18/17. საზოგადოების საქმიანობის მიზნებად კი მის წესდებაში მითითებულია საკვებწარმოების ობიექტის მართვა, საკვებწარმოების ობიექტის დისტრიბუცია, გადაამუშავება, რეალიზაცია. ორგანიზაცია დაფუძნებულია 2013 წლის 28 მარტს.



• საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **პარლან ჭიკაშვილის** ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, მას დეკლარაციის შევსების მომენტისთვის „სახალხო ბანკის“ საკრედიტო ანგარიშზე 1400 ლარი ჰქონდა, ხოლო ამავე ბანკის სახელფასო ანგარიშზე - 720 ლარი. 2013 წელს მან ბაზალეთის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულად მუშაობისას 9 860 ლარის შემოსავალი მიიღო.

• განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **მარინე მუხომბაძის** ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ის ფლობს 70 კვმ ფართობის მქონე ბინას ხარაგაულში დეკანოსის ქუჩაზე და



600 კვმ მიწის ნაკვეთს წერეთლის ქუჩაზე. მისი მეუღლე მეუღლე მესხი ფლობს 130 კვმ ფართობის მქონე საცხოვრებელ სახლს და 5 000 კვმ მიწის ნაკვეთს სოფელ საქარეში.

მარინე ვეფხვაძის ქონებრივი დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ის ფლობს მუსიკალურ ინსტრუმენტს piano, ხოლო მისი მეუღლე - ავტომანქანას opel-veqtra.

დეკლარაციის შევსების მომენტში მარინე ვეფხვაძეს „ლიბერთი ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე ჰქონდა 1000 ლარი, მის მეუღლეს - 160 ლარი, შვილებს კი ანაბარებზე - 600 ლარი.

მეუღლე მესხი ფლობს საცხოვრებელ სახლში, სოლომონ მეფის ქუჩაზე. მისმა შემოსავალმა საწარმოს საქმიანობით 2013 წელს 1 200 ლარი შეადგინა. მან ასევე 2013 წელს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში მენეჯერად მუშაობით 2 500 ლარი შემოსავალი მიიღო.

დეკლარაციის თანახმად, მარინე ვეფხვაძე 2013 წელს ხარაგაულის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარ სპეციალისტად მუშაობდა და შემოსავლის სახით 7 000 ლარი მიიღო.



• იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **მისიძე გელაშვილის** ქონებრივი დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ის ფლობს მსუბუქ ავტომანქანას opel astra სახელმწიფო ნომრით JWJ 984. დეკლარაციის შევსებისას მას „საქართველოს ბანკის“ საკრედიტო ანგარიშზე ჰქონდა 500 ლარი, ხოლო „თი-ბი-სი“ ბანკის საკრედიტო ანგარიშზე - 400 ლარი.



• საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გივი თხელიძე** სოფელ ვეფრეკში ფლობს 3 000 კვმ ფართობის მქონე საცხოვრებელ სახლს და 1 100 კვმ მიწის ნაკვეთს ხარაგაულში. მისი მეუღლე ქეთევან ლომსაძე ფლობს 80 კვმ ფართობის მქონე ბინას ხარაგაულში, წერეთლის ქუჩაზე.

დეკლარაციის შევსების მომენტში გივი თხელიძეს „ლიბერთი ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე ჰქონდა 1 350 ლარი, ხოლო ამავე ბანკის დეპოზიტზე - 1 450 ლარი. 2013 წელს დაბა ხარაგაულის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად მუშაობით გივი თხელიძემ 14 000 ლარი შემოსავალი მიიღო, მისმა მეუღლემ ხარაგაულის „წყალსერვისის“ მთავარ ბუღალტრად მუშაობით - 3000 ლარი.

# მე პატარა ქართველი ვარ

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი იმ დღეს ყველაზე პატარა ქართველებს მასპინძლობდა. ხარაგაულის №1 საბავშვო ბავშვთა ბაზის აღსაზრდელებმა (გამგე ნანა რევაზიშვილი) ურთიერთობით ააგეს მუზეუმის ეზო და დარბაზები. თვალახატულა გოგო-ბიჭებს საოცრად უხდებოდათ ქართული დროის ფერებში გადაწყვეტილი კოსტიუმები. ისინი მართლაც მზესავით ანათებდნენ. ოთხნობიანების ჯგუფის აღმზრდელმა ია თაბუკაშვილმა სტუმრებს აუწყა, რომ ღონისძიება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნებოდა და პრეზენტაციის თემად, „მე მიყვარს ჩემი საქართველო“, ამ შინაარსით წარმართებოდა. დაიწყო შეჯიბრი - ვინ უკეთ წაიკითხავდა ქართული პოეტის ლექსებს და ვინ უფრო ლამაზად მოეფერებოდა საქართველოს. მართლაც ბევრი მასალა მოუძიებია აღმზრდელ ია თაბუკაშვილს. ერთი საათის განმავლობაში პატარა მარტა, ანანო,

ელისაბედი და სხვები დიდხანს ეფერებოდნენ საქართველოს და მის ულამაზეს კუთხეს იმერეთს, ხარაგაულს. ბავშვებმა იმერული იმპროვიზაციაც კი შემოგვთავაზეს: „მასტერაომ ჩეიარა? მოვწველი აპა ძროხას,“ - ამ კოლორიტულმა დიალოგმა დარბაზი გაამხიარულა და ზემოთ ბავშვებმა ქალბატონ დალი მერაბიშვილის სიმღერით „ჰიმნი ხარაგაულს“ დაასრულეს. დარბაზში იდგა მონიტორი, რომელიც ბალის ჯგუფის მუშაობის კადრებს ასახავდა. ყველაფერი ისე ლამაზად იყო ჩაფიქრებული, მთლიანად მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციის, რომ პედაგოგი ია თაბუკაშვილი ნამდვილად იმსახურებს შექმნას. მას ესმარებოდნენ აღმზრდელი ია შარიქაძე და თანაშემწე ეკა შარიქაძე. ღონისძიებას მუსიკალურად ირმა ყანჩაველი აფორმებდა. საღამო გააღება მშობლების ჩართულობამ. მათ ფანდურის



აკომპანიმენტით საქართველოზე შესრულეს სიმღერა. ბავშვთა ბაზის გამგე ნანა რევაზიშვილმა მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, მუზეუმის დირექტორს ნინო დიდიძეს, მშობლებს.

პატარებს მიესალმნენ გაერთიანების დირექტორის მოადგილე თამარ ავალიშვილი და მუზეუმის დირექტორი ნინო დიდიძე. მეც ვუერთდები მათ სურვილებს და მინდა მადლობა გადაუხადო

პედაგოგებს მიღებული დიდი ესთეტიკური სიამოვნებისთვის, ხოლო პატარებს - საქართველოსადმი გაცხადებული ასეთი ძლიერი სიყვარულისთვის. **თამარ ბაჩინილაძე**

## სათავგადასავლო ტურ-თამაშების ფინალისტი გამოვლინდა



თვენახევარია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით (დირექტორი **მამუკა ჭიპაშვილი**) ხარაგაულში სათავგადასავლო ტურ-თამაშები მიმდინარეობს. მასში ოცდასამი სკოლის გუნდი მონაწილეობდა. ხარაგაულის საჯარო სკოლების გუნდებთან ერთად შეჯიბრებაში ზესტაფონის №7, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველის და იმერეთის სკაუტების ნაკრები გუნდები ჩაერთვნენ. კონკურსის ფინალი მარელოსის ხერგილზე გაიმართა და მასში

ხარაგაულის №2, სალანძლოს, კიციხის, წყალაფორეთისა და ზესტაფონის №7 საჯარო სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ. ფინალი ძალიან საინტერესოდ წარიმართა და კონკურსის ორგანიზატორებმა ორიგინალური თამაშები შესთავაზეს მონაწილეებს. დაძაბულ შეჯიბრებაში ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა, მეორე ადგილზე გავიდა წყალაფორეთის საჯარო სკოლის გუნდი, ხოლო მესამე ადგილზე - ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის გუნდი. წყალაფორეთის საჯარო

სკოლის სპორტის მასწავლებელი **ზვიად კაპილაძე** ამბობს, რომ სათავგადასავლო ტურ-თამაშები საუკეთესო საშუალებაა მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური და გონებრივი ვარჯიშისთვის. ის საკუთარი გუნდის მიღწევით კმაყოფილია და სამომავლოდ უკეთესად მომზადებას აპირებენ. ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის მესწავლელის **ბერიკა მანუჩიანი** მიიჩნევს, რომ მათი გუნდი არ იყო კარგად მომზადებული. ბერიკასთვის მოსაწონია, რომ კონკურსს ბევრი მონაწილე ჰყავდა. ის მიღწევად თვლის იმას, რომ მოსწავლეები შეიყვარებენ ველურ ბუნებას. „პირველად გმონაწილეობთ ასეთი ტიპის სათავგადასავლო ტურ-თამაშებში. სტუმრები ვართ და გავცხადებ, რომ გავიმარჯვებთ. ხშირად მინახავს ფილმებში ასეთი კონკურსები, მაგრამ ვერ წარმომიდგინა, თუ მეც მივიღებდი მონაწილეობას. აღფრთოვანებული ვარ. შესანიშნავი ბუნება და დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი აქ,“ - გამარჯვების შემდეგ შთაბეჭდილება გავგიზიარა ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის

მეთერთმეტეკლასელმა **ბაბრაზ ბულაშვილმა**. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი მეორე წელია, რაც სათავგადასავლო ტურ-თამაშებს ატარებს. ცენტრის დირექტორის, **მამუკა ჭიპაშვილის** თქმით, კონკურსი ბევრად დაიხვეწა, მეტად საინტერესო, სახალისო და მრავალფეროვანი გახდა. მამუკა ჭიპაშვილი ხაზს უსვამს პროექტის მასშტაბურობას. „სათავგადასავლო ტურ-თამაშები ჩვენგან დაფუძნებული კონკურსია და მას ანალოგი არ აქვს. კონკურსის ორივე ეტაპზე ახალი პროგრამა მოვაშვადეთ. ფინალი ექსტრემალური და ინტელექტუალური გამოვიდა. პროექტი ვითარდება და რაც ყველაზე მთავარია, მომავალ წელს უფრო მასშტაბური გახდება,“ - ამბობს მამუკა ჭიპაშვილი. მისი თქმით, სათავგადასავლო ტურ-თამაშებს სხვადასხვა სახის დატვირთვა აქვს, - ის, რომ კონკურსში 200-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს, უკვე კონკურსის წარმატებაა. გუნდების დაკომპლექტების

პრინციპიც განსხვავებული და საინტერესოა - ოთხი გოგონა, ოთხი ვაჟი და ერთი მასწავლებელი. მოსწავლეებმა იცინა, რომ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ინტელექტუალური კონკურსი იქნება და სპეციალურად ემზადებიან. „რაც ყველაზე მთავარია, შეგნებულად ვატარებთ ტურ-თამაშებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ორ ადგილას - ხევში უნიკალურ ქუცუმას მთაზე, სადაც მონაწილეთა უმრავლესობა ნამყოფი არაა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დასაწყისში - მარელოსის ხერგილზე. შარშანდელი და წლევედელი კონკურსების შემდეგ მონაწილეებს სურვილი გაუჩნდათ, ესტუმრონ ეროვნულ პარკს, გაეცნონ ჩვენი ბუნების სილამაზეს,“ - ამბობს მამუკა ჭიპაშვილი. სათავგადასავლო ტურ-თამაშებში მონაწილეთა დაჯილდოება, სავარაუდოდ, ათი დღის შემდეგ გაიმართება. კონკურსის ორგანიზატორები საპრიზო ადგილების მფლობელებთან ერთად ყველა მონაწილე გუნდს დაჯილდოებენ აქტიური მონაწილეობისათვის. **ნიკო კაპანაძე**

## სამოყვარულო ფილმების კონკურსი ხარაგაულში

ხარაგაულის კინოთეატრში სამოყვარულო ფილმების კონკურსის „ჩემი იმერეთი“ დაჯილდოება გაიმართა. კონკურსი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით წელს მეორედ ჩატარდა. კონკურსის მხარდამჭერები არიან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და საგანმანათლებლო რესურსცენტრი. კონკურსის ორგანიზატორის, მამუკა ჭიპაშვილის თქმით, კონკურსში იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები მონაწილეობდნენ. ფინალურ ეტაპზე თერთმეტი ფილმი გადავიდა: ფილმი „აქ ემღერება გულს“; ოთარ მიქაბერიძის დოკუმენტური ფილმი „ჩემი წყალტუბო“; ბორის საჯარო სკოლის მასწავლებელ ქეთევან ღონღაძის ფილმი „ჩემი იმერეთი“ (ფილმი გადაიღეს ბორის სკოლის მოსწავლეებმა);



ფილმი „იმერეთი“ მუშაობდა ვანო ჭიპაშვილი; თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველის საჯარო სკოლის მოსწავლეების - ეზო და ზურა აბუადაძეების ფილმი „ძვერი - იმერეთის პატარა სამთხე“; ლამის საჯარო სკოლის მოსწავლეების ფილმი „ეს ჩვენი კუთხე“; ანა ბლუაშვილის ფილმი „სტარში სერჟანტ ბლუაშვილი“; ხონის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეების - თენგილა ლათაძისა და ალექსანდრე უგულავას ფილმი „ოცნება ხდება“; ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეების ბერიკა ებანოძისა და გოგა აბაშიძის ფილმი „ციხის ყელი“; თამარ ავალიშვილის ფილმი „გაცოცხლებული ფოტო“; მამუკა ჭიპაშვილის იდეის მიხედვით გადაღებული ფილმი „ის, რასაც ვერ მოშლი“.

სამოყვარულო ფილმების კონკურსს აფასებდა შიური შემდეგი შემადგენლობით: გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე, გამგეობის პირველი მოადგილე შატა გოგოლაძე, საკრებულოს წევრი იუზა კულენჯერაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის

უფროსი დავით კიკნაძე, კულტურის ცენტრის უფროსი ვასილ კიკნაძე. შიურის გადაწყვეტილებით ნომინაციაში „მომავლის მსახიობი“ გამარჯვებს ნიკოლოზ ჭიპაშვილმა და ალექსანდრე უგულავამ; საუკეთესო მსახიობური შესრულებისთვის დაჯილდოვდნენ ნიკოლოზ მაჭავარიანი და ლუიზა კიკნაძე; ნომინაციაში „საუკეთესო ოპერატორი“ გამარჯვებულია ლაშა ნიქაძე; ნომინაციაში „საუკეთესო სიუჟეტი“ დასახელდა თამარ ავალიშვილი; კონკურსის საუკეთესო ფილმად დასახელდა „ის, რასაც ვერ მოშლი“.

ბორის საჯარო სკოლის მიერ შექმნილ ფილმში „ჩემი იმერეთი“ მონაწილეობისათვის „რაიონის მეგობარის“ პრიზით დაჯილდოვდა მშვიდობის კორპუსის მოხალისე ელიზაბედ ბერთლერი. **ნიკო კაპანაძე**

